კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #4

2016 წლის აპრილი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“
ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 01 – 28 აპრილი - მიღწეული შედეგები:

სტუმარი დონორი ორგანიზაციიდან, პირველი შთაბეჭდილებები, შეფასებები

- აღფრთოვანებული ვარ იმ საქმიანობებით, რომელსაც ეწევით. მართლაც შთამბეჭდავია და ეფექტური. გენდერული საკითხები ყველასთვის არ არის საინტერესო, ამიტომ კარგად ვიცი, რამდენად რთულია ამ კუთხით მუშაობა. თქვენ ძალიან წარმატებით თანამშრომლობთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გისურვებთ წარმატებებს! სასურველია თქვენი საქმიანობა არა მხოლოდ ადგილობრივ, ცენტრალურ დონეზე განვითარდეს, თქვენ ამისთვის ყველანაირი რესურსი გაგაჩნიათ, - ასეთი სიტყვებით შეაფასა ჩვენი საქმიანობა კარსტა ნეუნროფმა, ჩვენი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, მრჩეველმა გენდერულ საკითხებში. ის ფონდ „სოხუმს“ 25-26 აპრილს სტუმრობდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას დაესწრნენ ფონდი „სოხუმის“ თანმშრომლები და პროექტში აქტიურად ჩართული ადამიანები, რომლებმაც ისაუბრეს, როგორ აისახება გენდერული კომპონენტები ფონდის საქმიანობაში, რა მიღწევებია ამ მიმართულებით. ქალბატონი კარსტა იმავე დღეს დაესწრო ძალადობის თემაზე მიმდინარე ტრენინგს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ჩაატარა ძალადობის ეროვნულმა ქსელმა. ტრენინგს

ორგანიზებას ფონდი „სოხუმი“ უწევდა. სტუმარი გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობითაც დაინტერესდა და 26 აპრილს სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებს შეხვდა.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა, ინდიკატორით განსაზღვრული მიღწევები, სამობილიზაციო შეხვედრები, საზოგადოებაზე გავლენა, ცვლილებები

ბენეფიციარებთან მუდმივი კონტაქტი, მათი ინფორმირება, არსებული პრობლემების ანალიზი და ადვოკატირების პროცესების დაწყება - ეს საკითხები ცენტრის მობილიზატორთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ყოველთვიური სამობილიზაციო შეხვედრები ექვსივე ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა. ამ შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბენეფიციარები ხშირად საუბრობენ სხვადასხვა პრობლემაზე და ახდენენ პრობლემების ადვოკატირებას.
ქუთაისში ერთ-ერთ სამობილიზაციო შეხვედრაზე გაირკვა, რომ ბენეფიციარს სერიოზული საბანკო დავალიანება ჰქონდა. არ იცოდა, რა ექნა, ვისთვის მიემართა. მობილიზატორმა ურჩია, იურისტთან გაევლო კონსულტაცია. ასეც მოიქცა. კონსულტაციის შემდეგ ბენეფიციარმა ბანკს მიმართა განცხადებით, რის საფუძველზეც რესტრუქტურიზაციის უფლება მისცეს და დავალიანების გასასტუმრებლად ახალი გრაფიკი შეუდგინეს.
ბენეფიციარები ხშირად საკუთარი პრობლემის გარდა საერთო პრობლემებზეც მუშაობენ. მობილიზატორიც ერთვება და იწყება ადვოკატირების პროცესი. დევნილთა კოლექტიური ცენტრების პრობლემების - არასახარბიელო პირობები, სოციალური ფონი, უმუშევრობა, მიგრაცია, ახალგაზრდების დაუსაქმებლობა - ჩამონათვალიდან მობილიზატორები ცდილობენ ისეთი საკითხები აიღონ ადვოკატირებისთვის, რომელთა მოგვარება ადგილობრივ დონეზე შესაძლებელია.
აპრილის თვის სამობილიზაციო შეხვედრების თემა იყო ძალადობის გავლენა ახალგაზრდებზე. ამავე დროს მობილიზატორები ხშირად აღნიშნავენ კალენდარულ დღეებს. ასეთი დრე იყო 6 აპრილი - სპორტის საერთაშორისო დღე ახალგაზრდებისა და განვითარებისათვის. შეხვედრებზე ისაუბრეს ჯანსაღი ცხოვრების წესზე და იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ამ წესით ცხოვრება, რადგან ის ამცირებს ძალადობის გამოვლინებას და ხელს უწყობს პრევენციას.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირების და პრობლემათა მოგვარების მიზნით

სახელისუფლებო რგოლებთან თანამშრომლობა დიდი ხნის დაწყებულია, გამოიკვეთა, რომ მათაც მეტი ინფორმაცია სჭირდებათ ცენტრების საქმიანობაზე, უფასო ფსიქოლოგიურ და იურიდიულ სერვისებზე, რადგან დეპუტატებს

ხშირად ხვდებიან ამომრჩევლებს, რომლებიც საჭიროებენ მსგავსი ტიპის სერვისებს. მაგალითად, ქუთაისის საკრებულოს დეპუტატმა ირმა პეტრიაშვილმა ფსიქოლოგთან გადაამისამართა ერთი ქალბატონი, რომელსაც, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, რეაბილიტაცია სჭირდება.
მობილიზატორები, როგორც წინა თვეებში, აპრილშიც ექვსივე ქალაქში დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს, მიიღეს ინფორმაციები სხვადასხვა პროგრამის სესახებ, შემდგომ კი სამობილიზაციო შეხვედრების დროს ბენეფიციარებს გააცნეს მიღებული ინფორმაციები.
სოფლად მცხოვრებ ქალებთან მუშაობა სულ უფრო მეტად რეზონანსული ხდება, რადგან სწორედ ბენეფიციარებიდნ მოდის მსგავსი ტიპის შეხვედრების ჩატარების აუცილებლობა.
მობილიზატორები აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის რწმუნებულებთან. მათი თანამშრომლობით და მხარდაჭერით ხდება სამობილიზაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება.
მობილიზატორთა აქტივობებში გაჩნდა შემდეგი სოფლები: სოფელი ხომული და წყალტუბო (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), თეკლათი და ბათარია (სენაკის მუნიციპალიტეტი), გოჩა ჯიხაიში და ქუტირი (ხონის მუნიციპალიტეტი).
ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გაცვლას და პრობლემების მოგვარებას.

მაგალითი მრავლადაა:
ფოთში ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართა ქალბატონმა, რომელსაც მოუხსნეს სოციალური დახმარება და ვერ გაიგო რატომ. მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდია, ოჯახში უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა აქვს. მობილიზატორის დახმარებით შეადგინა განცხადება და სოციალურ სამსახურს წარუდგინა. განცხადების საფუძველზე აცნობეს, რომ აგენტი მივა ოჯახში და მოხდება ქულების გადამოწმება.
სენაკში მობილიზატორს დახმარება სთხოვა ერთმა ბენეფიციარმა. მისი მეუღლე მუშაობს თურქეთში. ბავშვების დევნილთა დახმარების თანხა მეუღლის ანგარიშზე ირიცხება და, რადგან იგი საზღვარს კვეთავს, აღნიშნულ დახმარებას ვერ იღებენ. ქალბატონს გაეწია კონსულტაცია, წავიდეს ზუგდიდში, დაწეროს განცხადება და მოითხოვოს ბავშვების დახმარების გადარიცხვა მის ანგარიშზე. ეს პროცედურები გავლილია და ახლა დადებითი პასუხის მოლოდინში არიან.
ხონში სამხედრო დასახლებაში დევნილთა საინიციატივო ჯგუფისა და მობილიზატორთა ინიციატივით მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რომლებსაც სთხოვეს დახმარება, რათა ცენტრალურ სკვერში გაეკეთებინათ განათება, ხოლო სამხედრო დასახლებაში - სათამაშო მოედანი. 10 დღის შემდეგ მოვიდა სპეციალური ჯგუფი და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა - ბავშვებს უკვე აქვთ სათამაშო მოედანი და სკვერიც განათდა.

სენაკში სასტუმრო „ეგრისში“ ჩასახლებულ ბენეფიციარი ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მოვიდა თავისი პრობლემით - ოჯახში ფინანსურად არანაირი საშუალება არ გააჩნიათ. ჰყავს ავადმყოფი შვილი, რომელსაც სჭირდება ტომოგრაფიული გამოკვლევა. მობილიზატორი დაეხმარა განცხადების დაწერაში, მიმართა გამგეობას. იქ განუმარტეს, რომ ამ კატეგორიის ადამიანებისთვის არსებობს დახმარება და ის მიიღებს ერთჯერადად განკუთვნილ თანხას.
წყალტუბოში ერთ-ერთ ბენეფიციარს მოუხსნეს დახმარება. მან თხოვნით გასულ თვეს მიმართა მობილიზატორს. პრობლემა უკვე მოგვარდა - მოხდა ქულების ხელახალი გადამოწმება და ქალბატონს დახმარება აღუდგა.

ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

31 მარტს დაიწყო და 3 აპრილს დასრულდა ბორჯომში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ 8 ქალაქის - ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, სენაკის, ფოთის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ბათუმის - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ეს ის ქალაქებია, სადაც წლების მანძილზე აქტიურად მუშაობს ფონდი „სოხუმი“. ამათგან 4 ქალაქში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი, ბათუმი) მოქმედებს გენდერული საკონსულტაციო საბჭო, ხოლო 6 ადგილას - (ქუთაისი, ხონის, წყალტუბო, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი - ხურჩა/კოკი) გახსნილია ქალთა მხარდაჭერის ცენტრი.
ტრენინგის თემა იყო „ოჯახში ძალადობის პრევენცია და ძალადობის მსხვერპლის დახმარება, თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები“.
ტრენინგის 22-მა მონაწილემ აქტიურად განიხილა შემდეგი თემები: გენდერი და გენდერული ძალადობა; ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში მონაწილე სახელმწიფო ორგანოები და მათი კომპეტენციები; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებები; მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.
ტრენინგის ბოლოს შემუშავდა გენდერული სამოქმედო გეგმები რეგიონების მიხედვით, დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები, განისაზღვრა ამოცანები, პასუხისმგებელი პირები.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების დამოუკიდებლად მუშაობის გაგრძელების პერსპექტივა

საკუთარი პოტენციალის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, რომელიც ინდიკატორით არის განსაზღვრული, ფონდმა „სოხუმმა“

გასულ თვეს გამოაცხადა პროექტების კონკურსი. მანამდე, თებერვლის ბოლოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროექტების წერასა და დიზაინზე. საპროექტო კონკურსში ექვსივე მხარდაჭერის ცენტრი აქტიურად ჩაერთო. განაცხადების მიღება 31 მარტს დასრულდა.
პროექტები სხვადასხვა მიმართულებისაა და გულისხმობს: მუშაობას ახალგაზრდებთან და სკოლებში ბულინგის თემაზე, თანამშრომლობას სოფლის საზოგადოებასთან და სოფლის გამგებლებთან, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას ახალგაზრდებში.
ამგვარად მობილიზატორები ეუფლებიან პროექტების წერის ტექნიკას, რაც მათ საშუალებას მისცემს მოიპოვონ ფინანსები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონორებისგან, გახდნენ სიცოცხლისუნარიანები და დამოუკიდებელნი.

ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი - ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა

პროექტის ინდიკატორებიდან გამომდინარე, ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების პრიორიტეტია. მდგომარეობა თითქმის ყველა ქალაქში ერთნაირია. ერთნაირია მუშაობის სტრატეგიები. მობილიზატორები მუდმივად ფხიზლად არიან, აგროვებენ მონაცემებს კონფლიქტურ ოჯახებზე, სადაც ძალადობის განვითარების მაღალი რისკია. ცდილობენ ითანამშრომლონ ასეთ ოჯახებთან, შეხვედრებზე მოიწვიონ ქალები.
მსხვერპლთა უმეტესობას ურჩევნია, არავინ ჩაახედოს საკუთარი ოჯახის საქმეში და თითქოსდა ოჯახურ სიმშვიდეს საკუთარი მორჩილების ფასად მიაღწიოს.
ამის მიუხედავად, მობილიზატორები ცდილობენ თანამშრომლობას, ეძებენ გზებს მსხვერპლთან დაახლოებისთვის. ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ხშირად ყვებოდნენ, რომ ახალგაზრდა ქალი ძალადობის მსხვერპლია, რადგან ოჯახიდან ხშირად გამოდის ყვირილის, ტირილის ხმა. რამდენჯერმე სცადეს ოჯახში შესვლა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. ოჯახი ჩაკეტილად ცხოვრობს და არც ერთ მეზობელთან არა აქვს კომუნიკაცია. მობილიზატორები ესაუბრნენ 5 წლის ბავშვს. მან თქვა, რომ მამა ხშირად სვამს და უყვირის დედას. მობილიზატორები ბაღის მასწავლებელს დაუკავშირდნენ, შეხვდნენ ბავშვის დედას და მიაწოდეს მას ინფორმაცია, რომ შეუძლია შეხვდეს ფსიქოლოგს. ქალბატონი ჯერ თავს იკავებდა, თუმცა მერე ბავშვთან ერთად დაესწრო ერთ შეხვედრას. ახლა ფიქრობს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ შეხვედრებზე.
ზოგჯერ ძალადობის მსხვერპლი ქალები პირდაპირ რეკავენ მობილიზატორთან და სთხოვენ დახმარებას ოჯახური კონფლიქტების დარეგულირებაში. ასეთი ფაქტები ხშირად ფიქსირდება სოფლებში, როცა ქალები ოჯახური კონფლიქტების მოგვარებას სთხოვენ მობილიზატორს და სოფლის ვინმე ავტორიტეტულ პირს. ამ მეთოდს მობილიზატორები წარმატებით იყენებენ.

თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 8 ანკეტა. მათ შორის სამმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ფსიქოლოგებთან გაიარა კონსულტაციები. ერთი იურისტს შეხვდა და გაარკვია მისთვის საჭირო ინფორმაციები, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე ცვლილებას არ გეგმავს და ურჩევნია, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება. დანარჩენ ქალბატონებთან მიმდინარეობს მუშაობა, რომ მათ ისარგებლონ ცენტრის სერვისებით და გაიუმჯობესონ მდგომარეობა.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

აპრილში იურიდიული კონსულტაციები ქუთაისის, ხონის, ფოთის, სენაკის, წყალტუბოს და ხურჩა/კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში მიეძღვნა სხვადასხვა თემას: ოჯახური კონფლიქტები, დევნილთა უფლებები, განსახლების ეტაპები, ნასყიდობის ხელშეკრულება.
იურისტების დახმარებით გადაიჭრა ბენეფიციართა ზოგიერთი პრობლემა.
ქუთაისში იურისტს მიმართა დღის ცენტრ „ვალენტინის“ წარმომადგენელმა, რომელიც მუშაობს ინკლუზიურ ბენეფიციარებთან. მისი განმარტებით, ბენეფიციარები ხშირად ვერ ახერხებენ ცენტრში 10 საათზე გამოცხადებას, რის გამოც პრობლემები ექმნებათ და მერია დაგვიანებულთათვის ლიმიტის შემცირებას გეგმავს. იურისტის კონსულტაციის შემდეგ აღნიშნული ბენეფიციარები განცხადებით მიმართავენ ადგილობრივ ხელისუფლებას, გადაიყვნოს ინდივიდუალურ გრაფიკზე, რადგან ისინი შეზღუდული შესაძლებლობების გამო ვერ ახერხებენ ტრანსპორტით დროულად გადადგილებას. მათ მიიღეს დაპირება, რომ გამონაკლისს დაუშვებენ ინდივიდუალურ გრაფიკთან დაკავშირებით.
ქუთაისში იყო ასეთი შემთხვევაც - იურისტს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა, რომელიც მეუღლესთან არარეგისტრირებულ ქორწინებაშია. ჰყავს ერთი შვილი, რომელიც დედის გვარზეა, არ იღებს არანაირ დახმარებას და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფება. მას აინტერესებს, ეკუთვნის თუ არა ბიოლოგიურ მამას ალიმენტის გადახდა. განემარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მამა ვალდებულია იხადოს ალიმენტი 18 წლამდე. ქალბატონი ამჯერად საჭირო დოკუმენტებს აგროვებს.
სენაკში იურისტს დახმარება სთხოვა ქალბატონმა, რომელიც განქორწინებაშია მეუღლესთან და მასთან ჰქონდა ქონებრივი დავა. ყოფილი მეუღლე მას არ აძლევდა საკუთარ წილს თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონებიდან. იურისტთან ერთად მიმართეს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით ის აღიარებულ იქნა თანამესაკუთრედ და, შესაბამისად, მიიღებს საკუთარ წილს.
ფოთში იურისტის დახმარება ითხოვა ქალბატონმა, რომელიც 8 წელია ქირით ცხოვრობს, არის მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი. რამდენჯერმე მიმართა დევნილთა სამინისტროს ბინით დაკმაყოფილების თაობაზე, თუმცა უშედეგოდ. მისი საბუთები გადაეგზავნა იურიდიული დახმარების სამსახურს,

რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო, საქმე სასამართლოში აღძრას და საადვოკატო წარმოებას უხელმძღვანელოს.
წყალტუბოში ოჯახური ძალადობის მსხვერპლმა, იურისტის დახმარებით, გაარკვია, რა უფლებები აქვს განქორწინების შემთხვევაში. უკვე იცის, რა გააკეთოს და საბოლოო გადაწყვეტილებას განქორწინებასთან დაკავშირებით უფრო ადვილად მიიღებს.
ქუთაისში, დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში თვის განმავლობაში გაიმართა 12 ჯგუფური შეხვედრა იურისტთან. განხილულ იქნა მონაწილეთათვის საინტერესო საერთო და ინდივიდუალური ხასიათის უამრავი საკითხი.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების შედეგები

აპრილში აქტიური მუშაობა ჩაატარა ფონდი „სოხუმის“ ორმა ფსიქოლოგმა. ხონსა და ფოთში კონსულტაციები წინასწარ დაგეგმილი თემით წარიმართა: გენდერული როლების ათვისება ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის. ბენეფიციარმა ქალებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს გენდერულ როლებს, რა ასაკიდან ხდება მათი ჩამოყალიბება და რა უნდა შევცვალოთ იმისთვის, რომ ოჯახში დავაბალანსოთ გენდერული როლები.
წყალტუბოში კი გაიმართა ორიინდივიდუალური შეხვედრა-კონსულტაცია სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით.
ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ფსიქოლოგიური მუშაობა ინკლუზიურ ბენეფიციარებთან წარიმართა არტ-თერაპიითა და ასოციაციური ბარათებით. მონაწილეებისთვის ეს მეთოდი კარგი რეაბილიტაცია გამოდგა, ინტერესით ჩაერთვნენ პროცესში და კმაყოფილები დარჩნენ.
სენაკისა და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში კი გაიმართა ჯგუფური შეხვედრები და კონსულტაციები. შეხვედრების ძირითადი თემა იყო ფსიქოლოგიური პრესინგი და ძალადობა.
ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში თვის განმავლობაში გაიმართა 12 ჯგუფური შეხვედრა. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაციები, როგორ მოქმედებს სტრესი ოჯახურ ურთიერთობებზე, როგორი შედეგები აქვს ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც ხშირად არ ჩანს და რა უნდა გააკეთონ, როგორ უნდა მოიქცნენ რთულ სიტუაციებში. მონაწილეებმა მიიღეს სასარგებლო და ეფექტური რჩევები კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით.

<u>ისტორია 1</u>
მ.რ. მეორე მშობიარობის მერე ძალიან გასუქდა, არც ერთ ტანსაცმელში არ ეტეოდა. სწორედ აქედან დაიწყო ოჯახში უსიამოვნებები. მეუღლე მასზე მუდმივად ძალადობს ფსიქოლოგიურად და მიმართავს ცუდი სიტყვებით, რომ უკვე ქალს არა ჰგავს და მის გვერდით არასოდეს გაივლის. ქალბატონს სერიოზული დეპრესია აქვს. ტანსაცმელს არ ყიდულობს, რადგან ეუბნებიან, რომ

მისი ზომის არაფერი იშოვება. ამის გამო არსად არ დადის, ზის სახლში და მუდმივი თავის ტკივილები აქვს. ფსიქოლოგთან სამი სეანსი გაიარა. მას განემარტა, რომ მისი სიმსუქნე შესაძლოა გამოწვეული იყოს ჯანრთელობის პრობლემებით, ამიტომ, პირველ რიგში, უნდა გამოიკვლიოს, რა ხდება მის ორგანიზმში. ამის შემდეგ უნდა დაიცვას დიეტა და იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით. მაგრამ ამ პროცესში მან უნდა ჩართოს მეუღლე.
სამი სეანსის შემდეგ მ.რ.-მ განაცხადა, რომ მეუღლეს აუხსნა თავისი მდგომარეობა, მან ყველაფერი გაიგო, გამოკვლევებზე მასთან ერთად დადის, მზად არის, მხარში დაუდგეს და ყველაფერი გააკეთოს მის დასახმარებლად. ქალბატონი ისევ აგრძელებს სეანსებს, უკვე არა აქვს დეპრესიული მომენტები და გაუჩნდა მოტივაცია, რომ ძველი წონა დაიბრუნოს, რაც იმის გარანტიაა, რომ ოჯახში პრობლემები აღარ ექნება.

<u>ისტორია 2</u>
შორენა. მ ფსიქოლოგთან საშინლად ემოციური და გაღიზიანებული მოვიდა: „5 წელია გათხოვილი ვარ. სიყვარულით დავქორწინდი. ერთ დღეს მეგობარი მირეკავს და მეუბნება, რომ ჩემს მეუღლეს დავაკვირდე, რადგან საეჭვო ვითარებაში ნახა ვიღაც ქალთან ერთად. სამი თვეა ეჭვიანობამ გადამრია. ვამოწმებ ტელეფონს, ჩუმად ვაკითხავ სამსახურში, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. ეჭვმა ისე გამაბოროტა, რომ მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. მაღიზიანებს ყველა და ყველაფერი. ცუდად მძინავს. მეუღლე ამას ამჩნევს და მეუბნება, რომ ხასიათი შემეცვალა და ვერ ხვდება, რატომ. ფსიქოლოგმა ურჩია მას, რომ დამშვიდდეს, შეამზადოს და შემდეგ ღიად ესაუბროს მეუღლეს თავისი ეჭვების შესახებ. იქნებ ყველაფერი გადაჭარბებულია და არაფერი ხდება. შორენა უკვე მეორედ მოვიდა ფსიქოლოგთან, შედარებით დამშვიდებული და აღნიშნა, რომ უფრო რეალურად აზროვნებს, დამშვიდებულია და ამაზე არ იფიქრებს, რადგან ეჭვის საბაბი არა აქვს. თუ რამე დაამტკიცა, ამისთვისაც მზადაა. კონსულტაციას ფსიქოლოგთან ისევ გააგრძელებს.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ზუგდიდში და წყალტუბოში რეფერალური მექანიზმების სუბიექტებთან. გამოიკვეთა, რომ პოლიციის წარმომადგენლებს ზუგდიდში არ ჰქონდათ ინფორმაცია ქალაქში არსებულ პროგრამებზე, რომლებიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის უზრუნველყოფას საცხოვრებლით, ამიტომ ეს შეხვედრა მათთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.
ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტები იყვნენ დევნილთა და განსახლების სამინისტროს და ძალადობის ეროვნული ქსელის წარმომადგენელი.

კვლევამ აჩვენა, რომ კოორდინაცია მათზე დაქვემდებარებულ სხვადასხვა რგოლთან გაუმჯობესებულია, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან გამომდინარე, მოწყვლად ჯგუფებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრები პერიოდულად ტარდება.

ახალგაზრდული კლუბების ინიციატივები

ახალგაზრდული კლუბების შეხვედრა ექვს ქალაქში გაიმართა. განხილვის თემა იყო: ეთიკური ნორმები და პიროვნული კულტურის ფორმირება, როგორც ძალადობის პრევენციის ინსტრუმენტი. თემამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ცხოვრებისეულმა მაგლითებმა გულწრფელობა და გახსნილობა შემატა ახალგაზრდებს, რაც დისკუსიაში კარგად აისახა.
კლუბის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობაში: კოკის ახალგაზრდული კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ესეების კონკურსში „მე და ჩემი უფლებები“.
ფოთში ახალგაზრდული კლუბის წევრებმა ჩამოაყალიბეს საზაფხულო ბანაკები, დაგეგმილი აქვთ, გეოგრაფიულად სად უნდა მოაწყონ ბანაკი.
წყალტუბოში ჩამოყალიბდა ეკოლოგიური კლუბი: „ნიამორი“, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების წესს გაუწევს პროპაგანდას ახალგაზრდებში.
ქუთაისის ჯგუფი აქტიურად ჩაერთო პროექტში „ევროკავშირი ჩვენს ქალაქში“. მონაწილეები ახალგაზრდებს ევროკავშირის მუშაობის სტრუქტურას და სპეციფიკას გააცნობენ.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები გაიმართა კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) სკოლაში უფროსკლასელების წინაშე. ნაჩვენები იყო 6 წარმოდგენა, რასაც მოჰყვა საინტერესო დისკუსიები და სცენებში ჩართულობა.
მეორე წარმოდგენა ჩატარდა ქუთაისში, სიყვარულის პარკში.
დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო დამსწრეთა უმეტესობამ. წარმოდგენების შემდეგ მაყურებლები დიდხანს საუბრობდნენ რეჟისორთან და ახალგაზრდა მსახიობებთან ფორუმ-თეატრის ისტორიის და სპეციფიკის შესახებ.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში და განხულილი თემისადმი განსაკუთრებული ინტერესი

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში ჩატარდა ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, სენაკში, ფოთში და ხურჩაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). ქალთა და გოგონათა ჯგუფებში ჩატარებულმა ვორკშოპებმა აჩვენა, რომ ცუდად იცნობენ საკუთარ თავს, არ გაუკეთებიათ ანალიზი, რა მოჰყვება მათ ქცევებს ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, ან როგორ განვითარდებოდა მოვლენები სხვანაირად

რომ მოქცეულიყვნენ. დისკუსიის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ საკუთარ თავს კარგად შეისწავლიან, ეს დაეხმარება მათ, არ დაუშვან შეცდომები ურთიერთობისას, რაც შეამცირებს ოჯახური კონფლიქტების რისკს.
მონაწილეთა განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ახალგაზრდებთან ჩატარებული ვორკშოპები. არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებული დისბალანსი, თითქმის ყველა მონაწილე აქტიურობდა და ცდილობდა საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებას. უკუკავშირის დროს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გამოყენებული იყო როლური თამაშები, რამაც მათზე დადებითად იმოქმედა, ახალგაზრდები ერთმანეთს დაუახლოვდნენ და დისკუსიისთვის კარგი გარემო შეიქმნა.
სოფელ ხურჩაში ქალებთან ჩატარებულ ვორკშოპს ესწრებოდნენ პედაგოგები. პიროვნული კონფლიქტების ანალიზი მათთვის საინტერესო მასალა აღმოჩნდა, რასაც პედაგოგიურ საქმიანობაში გამოიყენებენ. ერთ-ერთი პედაგოგის აზრით, პიროვნული კონფლიქტების გარჩევა კლასის მოსწავლეებთან ყველა პედაგოგს დაეხმარება თითოეული მოსწავლის უკეთ გაცნობაში. ის ამბობს, რომ კლასში მოსწავლეებს შორის ნაკლებად შეიქმნება კონფლიქტური სიტუაციები, ამ მეთოდს ისინი მუშაობისას გამოიყენებენ.

აპრილში გაიმართა გეგმით გათვალისწინებული 88 ღონისძიება.

33 სამობილიზაციო შეხვედრა
1 ტრენინგი - 22 მონაწილე
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში
6 ახალგაზრდული კლუბი
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში
2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით
2 ჩაღრმავებული ინტერვიუ
2 ფოკუს-ჯგუფი